

უ რ თ ი ე რ თ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

(№238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დამატება „დანართი №1“)
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის შიდა გზებისა და სოფელ ხუტორ-ლეჟადინის მისასვლელი გზის
მოსაფალტების სამუშაოები NAT200012980

ერთის მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ლობჯანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქცია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ვლადიმერ ტყეშელაშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მხარეთა შორის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული N238 ხელშეკრულების მე-18 მუხლის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N03-3220352107 17.12.2020), საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N 624-03 04/03/2020) საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **678 365,34** (ექვსასსამოცდათვრამეტი ათას სამას სამოცდახუთი ლარი და 34 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

დაფინანსების წყარო:

სოფელი შულავერი - **428 078,37** ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტი - **386 570** ლარი (90,3%), ადგილობრივი ბიუჯეტი - **41508,37** ლარი (9,7%);

სოფელი ხუტორ-ლეჟადინი - **250 286,97** ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტი - **234 073** ლარი (93,5%), ადგილობრივი ბიუჯეტი - **16 213,97** ლარი (6,5%);

- წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან.
- შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.
- ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

5. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორბანიზაცია:

მიმწოდებელი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
ს.კ 234232149

შპს „ქცია“
ს.კ 234161135

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მ.შ:

დირექტორი:

_____ ლ. ლობჯანიძე
(ბ.ა)

_____ ვ. ტყეშელაშვილი
(ბ.ა)



წერილის ნომერი: 03-3220352107
თარიღი: 17/12/2020

ადრესატი:

ლაშა ლობჯანიძე
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის ლერი ფანგანის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ის წერილით (რეგ.№06/322035099-32 15.12.2020 წ; რეგ. №06/3220350100-32 15.12.2020 წ.) გადმოგზავნილი დასკვნის (№IR_20-09-A045/F/F 15.12.2020.წ; №IR_20-09-A045/F/02 15.12.2020წ.) საფუძველზე, წარმოგიდგინებ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის შიდა გზებისა და სოფელ ხუტორ-ლეჟბადინის მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს, შემდგომი რეაგირებისთვის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში გადასაგზავნაად.

დანართი 52 ფურცლად.

პატივისცემით,

ლერი ფანგანი

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

შესრულებული სამუშაოების

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. მარნეული

16 დეკემბერი, 2020 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ, შ.პ.ს „ქცია“-ს დირექტორი ვლადიმერ ტყეშელაშვილი და მეორეს მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის №1231 14.06.2019წ. ბრძანების საფუძველზე შექმნილი შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმღები სამუშაო ჯგუფი: მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა ლობჯანიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), წევრები: მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლერი ფანგანი, ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების, ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი დავით მულაძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ხარშილაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში მახირ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბახტიარ გურიანოვი ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2020 წლის 30 სექტემბრის №238 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს „ქცია“-ს მიერ შესრულებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერის შიდა გზებისა და სოფელ ხუტორ-ლეუბადინის მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები.

შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის (ინსპექტირების ორგანო) მიერ წარმოდგენილი (რეგ: №06/322035099-32 15.12.2020 წ.; რეგ. №06/32203350100-32 15.12.2020წ.) ინსპექტირების ანგარიშის №IR_20_09_A045/F/F 15 დეკემბერი 2020წ.; №IR_20_09_A045/F/02 15 დეკემბერი 2020წ. მიხედვით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს:

1. სოფელ შულავერში 428078.37 ოთხას ოცდარვა ათას სამოცდათვრამეტი ლარი და 37 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2. სოფელ ხუტორ ლეუბადინში 250286.97 (ორას ორმოცდაათი ათას ორას ოთხმოცდაექვსი ლარი და 97 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2020 წლის 16 დეკემბერს.







მიღება-ჩაბარების აქტს ვადასტურებთ ხელმოწერით:

სამუშაოს შემსრულებელი:

შ.პ.ს „ქცია“

დირექტორი: ვლადიმერ ტყეშელაშვილი

მიმღები სამუშაო ჯგუფი:

1.  /ლაშა ლობჯანიძე/(ჯგუფის ხელმძღვანელი)
2.  /ლერი ფანგანი/(წევრი)
3.  /დავით მულაძე/(წევრი)
4.  /დავით ხარშილაძე/(წევრი)
5.  /მახირ მამედოვი/(წევრი)
6.  /ბახტიარ გურიანოვი/(წევრი)



მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზაურ დარგალს

ამავე მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის ვუგარ მამედოვის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაურ,

მოგახსენებთ, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ხარჯვას ახორციელებს, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (პროგრამის) საშუალებით. აღნიშნულ პროგრამაში გაწერილია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები, რომლებიც (პროგრამულად) დაკავშირებულია ბიუჯეტის გეგმასთან, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულების მთლიანი თანხა გაწერილია საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში კვარტლების მიხედვით, რომელსაც დარეზერვებული აქვს ბიუჯეტის გეგმის რესურსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დასრულება/შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან დარჩენილი ნაშთი (ეკონომია) ხაზინის ელექტრონულ სისტემაში (პროგრამაში) ავტომატურად არ მცირდება, იგი არეზერვებს ბიუჯეტის გეგმის რესურსს და ხარჯის განსახორციელებლად არ არის ხელმისაწვდომი.

საქართველოს ხაზინის ელექტრონული სისტემის (პროგრამის) პრინციპიდან გამომდინარე, ბიუჯეტის გეგმის რესურსის აღსადგენად აუცილებელია მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული (დასრულებული) ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულების კორექტირება დარჩენილი ნაშთის (ეკონომიის) შემცირებით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, მოგცეთ ნებართვა დავავალოთ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებას, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოახდინოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული (დასრულებული) ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულების კორექტირება (ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ფაქტებამდე დაყვანა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პატივისცემით,
ვუგარ მამედოვი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური